1067/4-2/22 2 09022022

1067/4-2/22
09-02-2022

საქართველოს მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარეს,

ბატონ ირაკლი ყანდაშვილს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. ალიმენტის გადახდევინების შესახებ რამდენ დავაზე განხორციელდა მედიაციის პროცესი 2020 წლის 1 იანვრიდან დღემდე.
2. ალიმენტის გადახდევინების შესახებ დავებიდან რამდენ შემთხვევაში განხორციელდა მედიაციის პროცესი სარჩელის სასამართლოში წარდგენამდე და წარდგენის შემდეგ.
3. მედიაციის პროცესის შედეგად რამდენ საქმეზე იქნა მიღწეული სამედიაციო შეთანხმება და როგორია აღნიშნული მონაცემი სარჩელის სასამართლოში წარდგენამდე და წარდგენის შემდეგ დაწყებულ მედიაციის საქმეებზე.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679. ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

საქართველოს
მედიატორთა
ასოციაცია

№ 0170
14 02 2022

საქართველოს პარლამენტის
ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს
ბ-ნ მიხეილ სარჯველაძეს
მის: თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე

ბატონო მიხეილ,

თქვენი 2022 წლის 9 თებერვლის #1067/4-2/22 წერილის პასუხად გაცნობებთ:

საქართველოს „მედიაციის შესახებ" კანონი ითვალისწინებს მედიაციის ორი სახის ფორმას: სასამართლო და კერძო მედიაციას. სამედიაციო პროცესებზე სტატისტიკური კონტროლის განხორციელება და წარმოება არ წარმოადგენს ასოციაციის უფლებამოსილებას, თუმცა მედიაციის სფეროს განვითარების მიზნით ასოციაცია სასამართლო მედიაციის ცენტრებიდან პერიოდულად საჭიროებისამებრ ითხოვს სასამართლოს მედიაციის ცენტრებში არსებული სამედიაციო პროცესების სტატისტიკის შესახებ ინფორმაციას.

თქვენი წერილის მოთხოვნის შესაბამისად, ასოციაციამ გამოითხოვა ამ ეტაპზე მოქმედი სასამართლო მედიაციის ცენტრებიდან მედიაციის შესახებ არსებული სტატისტიკა. აქვე გაცნობებთ, რომ ასოციაცია მოკლებულია შესაძლებლობას კერძო მედიაციის შესახებ აწარმოოს და მოიპოვოს სტატისტიკური ინფორმაცია, იქიდან გამომდინარე, რომ თითოეული მედიატორი დამოუკიდებლად ასოციაციის ჩაურევლად აწარმოებს კერძო სამედიაციო პროცესებს.

თქვენი მოთხოვნის საფუძველზე თანდართული დოკუმენტის სახით გიგზავნით **2020 წლის 1 იანვრიდან დღემდე** ამ ეტაპზე მოქმედ სასამართლო მედიაციის ცენტრებისთვის, როგორც ზოგადად ისე ალიმენტის გადახდევინების შესახებ განხორციელებულ სასამართლო მედიაციის საქმეთა სტატისტიკას, მათ შორის მორიგებით დასრულებულ საქმეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციას. ამასთან გაცნობებთ, რომ საქართველოს მედიატორტა ასოციაციის ინიციატივით და ორგანიზებით 2021 წელს, განხორციელდა პრო ბონო პროექტი საოჯახო მედიაციაში. პროექტის ფარგლებში მომართვიანობამ საერთო ჯამში შეადგინა 10 კერძო მედიაცია, რომელთაგან 7 მედიაცია დასრულდა მორიგებით. მორიგებით დასრულებული მედიაციიდან 3 მედიაცია ეხებოდა საალიმენტო საკითხებს.

მისამართი: თბილისი, ნუცუბიძის ქ. 14B
Web: www.mediators.ge Email: info@mediators.ge

მისამართი: თბილისი, ნუცუბიძის ქ. 14B
Web: www.mediators.ge Email: info@mediators.ge

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-1690/22
"14" 02 2022 ფურცელი 3

აქვე გვინდა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ვინაიდან ასოციაცია თავად არ ახორციელებს სტატისტიკური მონაცემების წარმოებას, მოწოდებული სტატისტიკა ეფუძნება სასამართლო ცენტრების მიერ ასოციაციისთვის მოწოდებულ ინფორმაციას.

წინარე წერილით გიფიქსირებთ პატივისცემას და თანამშრომლობის მზაობას.

პატივისცემით,

სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის
თავმჯდომარე

ირაკლი ყანდაშვილი

დანართი (1 ფურცლად)

მისამართი: თბილისი, ნუცუბიძის ქ. 14B
Web: www.mediators.ge Email: info@mediators.ge


2020-2022 წლის სასამართლო მედიაციის სტატისტიკა
350
300
250
200
150
100
50
0
315
195
20
12
2020-2022 წლის სასამართლო მედიაციის სტატისტიკა
სასამართლო მედიაციის ცენტრებს გადაცემული საქმეთა რაოდენობა 315
შეთანხმებით დასრულებული 195
ალიმენტის გადახდევინების შესახებ განხორციელებული მედიაცია 20
ალიმენტის გადახდევინების შესახებ განხორციელებული მედიაცია მორიგებით დასრულებული 12